სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

19 / ივნისი / 2025 წ.

KARR0116267660425

№ **1-1/47**

ბრძანება

ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47468 კვ.მ. არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კორექტირებული კონცეფციის დამტკიცების შესახებ

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს 2025 წლის 27 მაისის № 800/09 განცხადებით მომართა ლუკა ჩაგანავამ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, განმცხადებელმა მოითხოვა „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47468 კვ.მ. არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2024 წლის 1 ივლისის № 1-1/23 ბრძანების ცვლილება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 36-ე, 41-ე და 43-ე მუხლების, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის № 260 დადგენილებით დამტკიცებული წესებისა და „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის №590 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

მუხლი 1

დამტკიცდეს "ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47468 კვ.მ. არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კორექტირებული კონცეფცია" (დანართი №1).

მუხლი 2

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე 47468 კვ.მ. არეალზე მრავალფუნქციური ტურისტული კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის 2024 წლის 1 ივლისის № 1-1/23 ბრძანება.

მუხლი 3

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი
განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბი წიკლაური